ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2013492

ნომერი: AR1319758

თარიღი : 29.06.2015

გაცემის თარიღი : 15.07.2015

გაცნობის თარიღი : 18.07.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , ნაკვეთი 12/026 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა მოდრეკილაძე პ/ნ 01023007690
- თბილისი ნ.ბუაჩიძის ქ. N 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1752979
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 6.03.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი (კომერციული და საცხოვრებელი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კობა მოდრეკილაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "შოანდე"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406139520
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ტარიელ ბაბაჯანაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01001026680

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1400.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 646.9
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 4700.3
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3372.6
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 471.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 364.0
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 492.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 17270.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 15620.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1650.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 32.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 29.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.5
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 551.2/1400=0.4
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4653.8/1400=3.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 140/1400=0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 1876029
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 5.04.2015

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1876029
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 5.04.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

1. თქვენს მიერ არასწორედაა მითითებული ნომენკლატურა, ვინაიდან ობიექტი წარმოადგენს მრავალფუნქციურ კომპლექსს, საჭიროა ისარგებლოთ "ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით" და სწორედ შეარჩიოთ იგი.

2. გენერალური გეგმის pdf ფაილი.: წარმოსადგენია არსებული ტოპოგრაფიული გეგმა და მასზე დამუშავებული გენგეგმა.

3. გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: შესწორდეს ზემოაღნიშნულის შესაბამისად.

4. განმარტებითი ბარათი.: საჭიროა დეტალურად განიმარტოს საპროექტო შენობისა და კორექტირებით გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ.

5. გეგმების pdf ფაილი.:
ა. –3.2 ნიშნულზე არასწორედაა დატანილი საპროექტო ფართის ფუნქცია, საჭიროა მიეთითოს ავტოსადგომი, შესაბამისად აღნიშნული ფართი ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში უნდა ჩაიწეროს ავტოსადგომის ველში.
ბ. 0.0 ნიშნულზე N28,N24, N25, N26, და N27 ავტოსადგომებთან მისასვლელი გზა არ შეესაბამება ნორმებს და გასასვლელის სიგანე არ შეიძლება იყოს 1.9 მეტრი.
გ. ავტოფარეხში შასასვლელი პანდუსის დახრის პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს 14%–ს.
დ. "გ–ა" და "ა–დ" ფასადებზე ღიობების მოწყობით ირღვევა სამეზობლო მიჯნის ზონა, საჭიროა პროექტი მოყვანილ იქნას დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაში.

6. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : შესწორდეს ზემოაღნიშნულის შესაბამისად.

7. კონსტრუქციული დასკვნის pdf ფაილი.: წარმოსადგენია კონსტრუქციული დასკვნა კორექტირებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე.

8. წარმოსადგენია კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის განმარტებითი ბარათი და გადახდის გრაფიკი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.